



საჯარო სამართლის იურიდიული პირის

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №01/ 82 -ო

ქ. თბილისი

30 ივნისი 2015 წ

შპს სადაზღვევო კომპანია „პარტნიორი“-ს იძულებითი ადმინისტრაციის დანიშვნის თაობაზე საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 02 სექტემბრის №01/16-ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის, ამავე კანონის 33¹-ე მუხლის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის №126/01 ბრძანებით დამტკიცებული „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის“ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. შპს სადაზღვევო კომპანია „პარტნიორში“ იძულებითი ადმინისტრაციის დანიშვნის თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2011 წლის 25 ნოემბრის №837 და 2012 წლის 29 მაისის №669 განკარგულებებში, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 01 აგვისტოს №01/9-ო, 2013 წლის 02 სექტემბრის №01/16-ო და 2014 წლის 30 დეკემბრის №01/70-ო ბრძანებებით განსაზღვრული იძულებითი ადმინისტრაციის ვადა გაგრძელდეს 2015 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

2. აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ ეცნობოს შპს სადაზღვევო კომპანია „პარტნიორი“-ს მარეგისტრირებელ ორგანოს და გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ვებგვერდზე.

3. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი 6) მხარისათვის მისი განცობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.



იოსებ გოგოლაშვილი

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო
ზედამხედველობის სამსახურის უფროსი